



შპს „ენგურჰესი“-ს მიერ 260 მვტ სიმძლავრის N1, N2, N3, N5 ჰიდროაგრეგატების მიმდინარე და N4 ჰიდროაგრეგატის კაპიტალური შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების გაწევის

სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) ჩასატარებლად შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **გია ხუბუა** - შპს „ენგურჰესის“ ტექნიკური დირექტორი - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ზვიად კილასონია** - შპს „ენგურჰესის“ ფინანსური დირექტორი - სატენდერო კომისიის წევრი;
3. **ვახტანგ მოლაშხია** - შპს „ენგურჰესის“ შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;
4. **იური შონია** - შპს „ენგურჰესის“ რემონტების მენეჯერი - სატენდერო კომისიის წევრი;
5. **სოსო ჭანტურია** - შპს „ენგურჰესი“-ს მ/ქვეშა საამქროს უფროსის მოადგილე - სატენდერო კომისიის წევრი;

კომისიის აპარატის წევრები:

1. **მედეა კორსანტია** - იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე - აპარატის წევრი;
2. **რომან ლავგილავა** - შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი სპეციალისტი - აპარატის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:

1. **ლევან მებონია** - შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე/კომისიის აპარატის ხელმძღვანელი;
2. **რევაზ გვაგვალია** - შპს „ენგურჰესი“-ს საწაქრმოლო ტექნიკური განყოფილების უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

შპს „ენგურჰესი“-ს მიერ 260 მვტ სიმძლავრის N1, N2, N3, N5 ჰიდროაგრეგატების მიმდინარე და N4 ჰიდროაგრეგატის კაპიტალური შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების გაწევის სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე ჩასატარებლად სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის განხილვა და დამტკიცება, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა კომისიის წევრებს განსახილველად წარუდგინა შპს „ენგურჰესი“-ს მიერ 260 მვტ სიმძლავრის N1, N2, N3, N5 ჰიდროაგრეგატების მიმდინარე და N4 ჰიდროაგრეგატის კაპიტალური შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების გაწევის სახელმწიფო შესყიდვაზე, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით ელექტრონული ტენდერის გენერირებული სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით ელექტრონული ტენდერის გენერირებული სატენდერო განცხადება და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად დასახელდა: 517 800 ლარი.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

- 1 „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს სატენდერო პირობების წარმოდგენილი პროექტი (სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია).
2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს: 517 800 ლარი.
3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის მე-2 პუნქტისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

გია ხუბუა


ტექნიკური დირექტორი

ზვიად კილასონია

ფინანსური დირექტორი




ვახტანგ მოლაშხია



შესყიდვების და მომარაგების სამსახურის უფროსი

იური შონია




რემონტების მენეჯერი

სოსო ჭანტურია



მიწისქვეშა საამქროს უფროსის მოადგილე რემონტების დარგში

მედეა კორსანტია



იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე

რომან ლაგვილავა



შესყიდვების და მომარაგების სამსახურის მთავარი სპეციალისტი